მიგრაციის გამომწვევი ფაქტორები და ადამიანთა უფლებები

მეგი სურმანიძე

დოქტორანტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

აღნიშნული სტატია ეხება მიგრაციის პროცესის შესწავლისას მიგრაციისთვის წამახალისებელ და ბიძგის მიმცემი ფაქტორების და ადამიანთა უფლებების ანალიზს, ერთის მხრივ მიგრაციის გამომწვევ მიზეზად ადამიანის უფლებების არ არსებობა შეიძლება იყოს როგორც სამშობლოში საიდანაც მოქალაქეები ღებულობენ გაქცევის გადაწყვეტილებას და მეორეს მხრივ ის მნიშვნელოვანია მიგრანტების მიმღები, მასპინძელი სახელმწიფოსთვის. მიგრაციას საკმაოდ ბევრი ხელშემწყობი ფაქტორი აქვს მათ შორისაა ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციო პოლიტიკური, ადამიანების უფლებების ფაქტორები, ბუნებრივი, სამედიცინო–ჯანმრთელობასთან დაკავშირებული, კულტურული და საგანმანათლებლო ფაქტორები. სახელმწიფოები სადაც დაბალია სოციალურ ეკონომიკური ცხოვრების დონე, არ არის დაცული ადამიანის უფლებები, მოქალაქეს არ აქვს შემოსავალი, არის დასაქმების მცირე და არაპერსპექტიული შესაძლებლობები, რის არასტაბილური პოლიტიკური გარემო, დროთა განმავლობაში კარგავს მოქალაქეების დიდ ნაწილს, შესაბამისად მიგრაცია შეიძლება იყოს როგორც შრომითი ასევე ოჯახური ფაქტორით განპირობებული.

სტატიაში ასევე განხილულია მიგრირების ფაქტები და წარსულში გამოწვეული პოლიტიკური ფაქტორებით და ცივსისხლიანი დაპირისპირებებით მიმართულებები, პირველმა და მეორე მსოფლიო ომმა გამოიწვია ყველაზე ფართომასშტაბიანი მიგრაციები და საცხოვრებელი ლოკაციის შეცვლა. მნიშვნელოვანია ასევე მიგრაციის სტრუქტურა და ხასიათი, რომელიც ძალადობის და ომის მიზეზებით შეიძლება იყოს ფორმირებული. საერთაშორისო მიგრაციაში განსაკუთრებით აქტუალური და მნიშვნელოვანია ადამიანთა უფლებები, ქვეყნის დატოვებამდე არსებული სისტემური თუ საკანონმდებლო პრობლემები და მიგრანტების მიმღებ სახელწმიფოში მათ მიმართ არსებული დამოკიდებულები, არის თუ არა მათი უფლებები სრულფასოვნად დაცული?

სტატიაში მნიშვნელოვანი კვლევის შედეგებია:

- მიგრაციამ წარსულიდან მოყოლებული ისტორიული ფაქტების საფუძველზე შეიძინა ხასიათი, მაგალითად მოსახლეობის მიგრაცია ხშირია აღმოსავლეთ აფრიკიდან ჩრდილოეთ აფრიკაში, აღმოსავლეთ აფრიკიდან ევროპაში, ასევე ხშირია მოსახლეობის მიგრაცია ისლამური სახელმწიფოებიდან ევროპაში მოსახლეობის განსაკუთრებით კი ქალთა უფლებების დაუცველობის გამო, ფიზიკური დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოტივით.
- მიგრაციის ხელისშემწყობ ფაქტორად ახალგაზრდებში რჩება განათლების მიღების და უბრალოდ მოგზაურობის სურვილი,

- მიგრაციის გამომწვევ ფაქტორებად საერთაშორისო მიგრაციაში რჩება: სიცოცხლის უფლება, პირადი თავისუფლების უფლება, რელიგიური თავისუფლების უფლება, თავისუფლება მოძრაობასა და გადაადგილებაში, სიტყვის თავისუფლება, ფიზიკური უსაფრთხოების უფლება.

საკვანძო სიტყვები: მიგრაცია, გამოწვევა, ადამიანი, უფლება

შესავალი

ბოლო პერიოდის განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით გაიზარდა მიგრაციული გადაადგილებების შემთხვევები, ადამიანები გაცილებით უფრო ინტენსიურად ტოვებენ საცხოვრებელ, მშობლიურ ქვეყნებს და ქალაქებს, ამ გადაწყვეტილებებს ისინი სხვადასხვა მოტივებით ღებულობენ, ხშირად მათთვის განსაზღვრული მიზნისა თუ მდგომარეობის მიღწევა არსებულ საცხოვრებელ პირობებში შეუძლებელია, მაგალითად დარჩენის შემთხვევაში ისინი ვერ გაიუმჯობესებენ ცხოვრების სოციალურ ეკონომიკურ ფონს, ვერ მიიღებენ ხარისხიან განათლებას, ვერ დასაქმდებიან პერსპექტიულ კომპანიებში, ვერ აუნაზღაურდებათ შრომა ადეკვატურად, საარსებო მინიმუმზე უფრო უკეთესი, საცხოვრებლად და ოჯახის სარჩენად საკმარისი ანაზღაურებით. პრობლემას წარმოადგენს ასევე სიცოცხლის უფლება და სიცოცხლის უსაფრთხოება, ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციების, ფორმალური თუ არაფორმალური საერთაშორისო ორგანიზაციების არსებობის, მოქმედების მიუხედავად მაინც მოუგვარებელია ბევრი სახელმწიფოს მოქალაქეების ფიზიკური, სიცოცხლის უსაფრთხოების საკითხი, სიცოცხლის გადარჩენის და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების მოტივი ასევე ერთერთი მნიშვნელოვანი ბიძგია და წინაპირობა მიგრაციაში გამგზავრების. სხვადასხვა მიზნის გამო ღებულობენ, ლოგიკურია, რომ თუ ყველაფერი რიგზეა მოქალაქეები არ დატოვებენ მშობლიურ მხარეებს, ამიტომ მიგრაციის სტატისტიკური მაჩვენებლები საკმაოდ ბევრ პრობლემას ააშკარავებს, ასევე ბევრ სასიკეთო ინფორმაციას იძლევა იმ სახელმწიფოების შესახებ სადაც იმიგრირებულთა რიცხვი მაღალია. მიგრაციულ პროცესებში განსაკუთრებით აქტუალურია მისი გამომწვევი ფაქტორების ანალიზი და ადამიანთა უფლებები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონვენციები და ადამიანის საერთაშორისო უფლებები, ის თუ რა ნაბიჯები იდგმება პრობლემების აღმოსაფხვრელად, რა პროგნოზები არსებობს მიგრაციის ზრდის ან კლების თვალსაზრისით და რა შესაძლო შედეგები შეიძლება მოუტანოს ამ მაჩვენებლებმა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს.

1. მიგრაციული პროცესები, საწყისები და გამომწვევი ფაქტორები

1.1 მიგრაცია, საწყისები, ძირითადი ფაქტორები

მოსახლეობის მიგრაცია საკმაოდ რთული და მრავალფეროვანი პროცესია, მიგრაცია სხვადასხვა მოტივით შეიძლება იქნეს განპირობებული. სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები სხვადასხვა მიზეზების გამო ღებულობენ ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის დატოვების გადაწყვეტილებას, მსოფლიოში მიგრაციის ყველაზე გავრცელებული და ძლიერი ფაქტორი ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების დონის, მდგომარეობის გაუარესებაა, ზოგიერთი ქვეყნის შემთხვევაში მიგრაციის მაჩვენებლები და სტატისტიკა პერიოდულად უარესდება, რადგან ისინი ვერ ახერხებენ ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. საერთაშორისო მიგრაციული პროცესები ფაქტიურად ყველა სახელმწიფოს ეხება, რომელიც ადამიანების გადაადგილებით გამოიხატება. მიგრაცია არის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ძიების გზა და გამოსავალი ადამიანებისთვის,

ამასთან მიგრაციული პროცესები ხელს უწყობს პროდუქტის, ფულის, იდეების მიმოცვლას უნივერსალური არხებით.

კვლევის მიხედვით, რომელიც მონივას ქალაქში ჩატარდა და მიგრაციის გამომწვევ მიზეზებს შეისწავლიდა გამოვლინდა მიგრაციის განმაპირობებელი, გავლენის მქონე და ბიძგის მქონე ფაქტორები, სხვაგვარად, რომ ვთქვათ ბიძგები და გავლენები, რომლებიც აიხსნება ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, კულტურული, გარემოს, ჯანმრთელობის, განათლების, ტრანსპორტირების ღირებულებების სიდიდით. გავლენის მქონეა ამ თვალსაზრისით ეკონომიკური ფაქტორი, რომელიც ნაკლებად განიხილება როგორც ბიძგი მაგრამ არის მნიშვნელოვანი ღირებულების გავლენის მქონე ფაქტორი მიგრაციის პროცესში[1]. მიგრაციის ხასიათის განმაპირობებელი, კერძოდ ბიძგის მიმცემი ფაქტორია პოლიტიკურად არასტაბილური ვითარებები, ძალადობა, საომარი მოქმედებები, დაპირისპირებები ქვეყნებს შორის, რომელიც პირდაპირპროპორციულად აისახება მოსახლეობის გადაადგილებაზე, მიგრაციის პროცესებზე. ამგვარი ფაქტები ისტორიას კარგად ახსოვს, პირველი მნიშვნელოვანი თარიღია 1857 წელი, როდესაც ოსმალეთის იმპერიამ ,,ტანზიმატის'' სახელწოდებით ცნობილი რეფორმა განახორციელა, ასევე კარგად ახსოვს ისტორიას პირველი მსოფლიო ომი 1914-1918 და მისით გამოწვეული იძულებითი გადაადგილებები, ლტოლვილები, რომლებიც ბელგიიდან გადაადგილდნენ სომხეთში, ასევე საფრანგეთის, იტალიის და ავსტრია უნგრეთის მოსახლეობის მიგრირება თურქეთში.[2] მიგრაციის მასობრივი პროცესები რასაკვირველია მეორე მსოფლიო ომის პერიოდშიც გაგრძელდა, იძულებითი გადაადგილებების უამრავი ფაქტი ახსოვს ისტორიას, რომელიც იყო წარსულში და დღესდღეობითაც მიმდინარეობს. ამგვარად მიგრაციის გამომწვევ კერძოდ იძულებითი ბიძგის მიმცემ ფაქტორად ითვლება პოლიტიკური არასტაბილური გარემო და დაპირისპირებები, რომლებიც საომარი ვითარების სახით მიმდინარეობს. ასეთ სიტუაციებში მოსახლეობა ორიენტირებულია თვითგადარჩენაზე, ასეთი ტიპის მიგრაცია მკვეთრი, სწრაფი და მზარდი ხასიათისაა, ის ნელი ტემპით არ ხასიათდება განსხვავებით მხოლოდ ეკონომიკური, სოციალური, კულტურული თუ საგანმანათლებლო ფაქტორებისგან, რომელიც ეტაპობრივად და ნელნელა იწვევს მოსახლეობის გადინებას უფრო განვითარებულ ქვეყნებში.

მიგრაციას და მის მიმართულებას ასევე განაპირობებს შემოსავლების ზრდის სურვილი მაშინ როდესაც მათი შემოსვლების დონე ძალიან დაბალია, ამ მოტივით ადამიანები ირჩევენ ქვეყნებს სადაც შრომის ბაზარზე მაღალი ანაზღაურებებია, სადაც მუშაობა დაბალ პოზიციებზეც უფრო მეტი თანხის გამომუშავების საშუალებას იძლევა ვიდრე მშობლიურ ქვეყნებში მუშაობის შემთხვევაშია შესაძლებელი.[3] აფრიკის შემთხვევაში მიგრაცია ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებისკენ განპირობებულია ომით, დიქტატორული რეჟიმისგან გაქცევის მიზნით, ტერორიზმით, შიმშილით და სხვა. კონტინენტებს და ქვეყნებს შორის მიგრაციის გამომწვევ მიზეზებს შორის განსხვავებები დიდია, მაგალითად ცენტრალური და აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებიდან მიგრაციის ძირითად მოტივებს შორის არის ცხოვრების დაბალი დონე და ხარისხი. ევროპის ტერიტორიაზე მიგრირებული მოსახლეობის მოტივები ძირითადად უკეთესი სამსახურის, განათლების, შემოსავლის მიღების, ცხოვრების მდგომარეობის გაუმჯობესებით არის გამოწვეული. 2020 წლის

[1] Kyaing Kyaing Thet, Pull and Push Factors of migration: A case study in the urban Area of Moniwa Township, Myammar, n.d.

[2] Gatrell, P., Refugees and forced migrants during the First World War, Immigrants &amp Minorities, Vol.26 No.1-2, 2008, page.82-110.

[3] Titan, E., Ghita, S., Covrig, M., Migration Phenomenon: A globalization Effect or a Cpnsequence of poverty? Procedia-Social and Behavioral Sciences, Vol.62,2012 page. 367-71.

UNHCR [4]სტატისტიკის მიხედვით საერთაშორისო მიგრანტთა რიცხვი 281 მილიონ ადამიანს აღწევს, რაც მსოფლიო მოსახლეობის 3,6%ს წარმოადენს.

მიგრაციის ხასიათის კვლევის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია უნგრეთის, ზეგედის უნივერსიტეტის პროფესორის მიერ განხორციელებული კვლევა, გამოყენებული იქნა თვისებრივი ანალიზის მეთოდი, რომელის დახმარებითაც გაანალიზდა ბუნებრივ აღქმები, ადამიანების შეგრძნებები. კვლევის პირობებში გამოიკითხა 9745 რესპოდენტი, კვლევა განხორციელდა 2019 წელს, რესპოდენტების შერჩევა თოვლის გუნდის მიხედვით განხორციელდა. კვლევის შედეგად მიგრაციის ის ხელისშემწყობი ფაქტორები გამოვლინდა, რომლებიც სტატიაშია განხილული, მიგრაციის ისტორიული ხასიათი მნიშვნელოვანი დაპირისპირებების და ომის შედეგად გამოვლენილი, ასევე მიგრირებული საზოგადოება საუბრობს კონფლიქტებისგან, ძალადობისგან, ადამიანის უფლებების ჩაგვრისგან, გარემოს დეგრადაციისგან, ეკონომიკური და სოციალური სიდუხჭირისგან გაქცევის მოტივებზე. მნიშვნელოვანია ასევე მიგრანტების უფლებები, ლეგალურ კანონებს შორის, რომელიც საერთაშორისო მიგრანტების უფლებებზე ზრუნავს, (ემიგრანტი მომუშავეების, ოჯახის წევრების დაცვის საერთაშორისო კონვენცია (ICRMW). კონვენცია თანაბრად ეხება და იცავს ასევე დროებით და უსაბუთო, არალეგალ ემიგრანტებს. სახელმწიფოები ვალდებულნი არიან დაიცვან მიგრანტების უფლებები საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად, ამასთან უნდა აკონტროლონ ქვეყნის საზღვრების გადმოლახვის და დატოვების მსურველები და მათი უფლებები.

უფლებების დაცვის თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია ლტოლვილების უფლებები. ლტოლვილები არიან ადამიანები, რომლებიც დევნაში იმყოფებიან რასის, რელიგიის, ეროვნების, კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური შეხედულების გამო, იმყოფებიან ქვეყნის საზღვრებს გარეთ და საჭიროებენ თავშესაფარს. ლტოლვილების უფლებები გაწერილია ლტოლვილების კონვენციის 1967 წლის პროტოკოლში. მათი უფლებების დაცვა გულისხმობს სიცოცხლის უფლების დაცვას, დაცვას წამებისგან, სასტიკი, ბარბაროსული, ძალადობრივი და მკაცრი მოპყრობისგან.[5] ლეგალური თუ არალეგალური მიგრანტების, ლტოლვილების და ასევე მოქალაქეობის არ მქონეთა უფლებების დაცვა კონვენციის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილებს წარმოადგენს, კონვენციის მიზანია შეუქმნას მოქალაქეობის არ მქონე პირებს უსაფრთხო, არადისკრიმინაციული გარემო, იზრუნოს მათ უფლებებზე ჰქონდეთ განსაზღვრული სტატუსი. ნებისმიერი სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს მიგრანტების უფლებების, უსაფრთხოების დაცვას და მონიტორინგს, ძალიან ხშირად ემიგრანტები აწყდებიან დაბრკოლებებს, მათ შორის სამსახურეობრივ გარემოში შრომის პირობების სიმძიმის, საცხოვრებელი პირობების შეუსაბამობის, ანაზღაურების განაკვეთის სხვა რეზიდენტ მოქალაქეებთან შედარებით სიმცირის თვალსაზრისით, ასევე პრობლემას წარმოადგენს მათთვის სხვადასხვა აუცილებელი მომსახურებების მიღების და ღირებულებების კონტროლის ნაწილი. რამდენად სწორია ემიგრანტებისთვის მაგალითად ჯანდაცვის მომსახურების გაორმაგებული ღირებულების სანაცვლოდ მიღება? რამდენად მნიშვნელოვანია ემიგრანტების შრომითი უფლებების დაცვა მათთვის უცხო ქვეყნებში? კონტროლდება თუ არა საკმარისად ყველა ჩამოთვლილი ეტაპი?

კვლევის შედეგებით, რომელიც 2019 წელს განხორციელდა, გამოიკვეთა რეგიონების მიხედვით მიგრაციის გამომწვევი მიზეზები და ასევე ერთ კონტინეტზე მიგრაციის ძირითადი მიმართულებები. აფრიკის რეგიონის შემთხვევაში ხშირია ერთი რეგიონიდან

[4] UNHCR, Global Trends forced Displacements In 2020, Denmark, June 18.2020.

[5] Bosniak, L. S., Human Rights, State Sovereingty and protection of undocumented migrants under the international migrant workers convention, International Migration Review Vol.25 No.4, page.737.

მეორე რეგიონში მიგრაციის მაგალითები, მაგალითად დასავლეთ და ცენტრალური აფრიკიდან ჩრდილოეთ აფრიკაში (1471 რესპოდენტი), აღმოსავლეთ აფრიკიდან ჩრდილოეთ აფრიკაში (657 რესპოდენტი) აღმოსავლეთ აფრიკიდან ევროპაში და აშ.[6] აფრიკელი მოსახლეობის მიგრაციის მიზეზებად სახელდება ძალადობა და უსაფრთხოების სისტემის არ არსებობა, ადამიანის უფლებების არ არსებობა, ეკონომიკური ფაქტორი, სოციალური სერვისების სიღარიბე, ასევე ემიგრაციის პროცესებს განაპირობებს ის ფაქტი, რომ ყველა მათ ირგვლივ ტოვებს ქვეყანას და თავადაც მიდიან ქვეყნის დატოვების გადაწყვეტილებამდე.

West/Central African to North Africa	Violence and General Insecurity	7.3
	Lack of Rights	30.7
	Economic Reason	94.8
	Personal/Family Reason	22.4
	Lack of Social Services/Poorly Governed	37.2
	Everybody Around me Was Leaving	42.2
	Environmental Factors	2.3
East Africa to North Africa	Violence and General Insecurity	61.5
	Lack of Rights	60.7
	Economic Reason	62.3
	Personal/Family Reason	36.6
	Lack of Social Services/Poorly Governed	30.1
	Everybody Around me Was Leaving	4.4
	Environmental Factors	0

East Africa to Southern Africa	Violence and General Insecurity	60.1
	Lack of Rights	33.5
	Economic Reason	59.1
	Personal/Family Reason	28.0
	Lack of Social Services/Poorly Governed	8.8
	Everybody Around me Was Leaving	3.8
	Environmental Factors	1.5
East Africa to Europe	Violence and General Insecurity	54.4
	Lack of Rights	82.9
	Economic Reason	17.4
	Personal/Family Reason	5.2

[7]

სამხრეთ ამერიკის შემთხვევაში მოსახლეობის გადინება კანადის მიმართულებით ხდება, ძირითად მოტივებს შორისაა სამსახურის პოვნა და შემოსავლების გაუმჯობესება. ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მოსახლეობა ემიგრირებს ცენტრალური ევროპიდანაც. ასევე მნიშვნელოვანია კლევის შედეგები, რომელიც ცენტრალური, აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიაში მიგრაციულ პროცესებს აღწერს. მოსახლეობა მიგრირებს შუა აღმოსავლეთ აზიიდან– სამხრეთ აზიაში (1007 რესპოდენტი) ბანგლადეშიდან მალაიზიაში (333 რესპოდენტი). მიგრაციის და ემიგრაციის მოტივებს შორის ლიდერობს ძალადობა და ცენტრალური უსაფრთხოების სისტემის არ არსებობა, 62,7%, პირადი და საოჯახო მიზნები 45,9%, შუა აღმოსავლეთ აზიიდან სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში მიგრაციის მიზეზებს შორის ლიდერობს ძალადობა და გენერალური უსაფრთხოების სისტემის პრობლემები 77.1%, ასევე ადამიანთა უფლებების ნაკლოვანებები 33,9%.

ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო მიგრაციული ხედვა, რომლის მიხედვითაც ყველაზე მაღალი იმიგრაციული ნაკადის სამიზნე სახელწმიფოს წარმოადგენს ამერიკა, საუდის არაბეთი, რუსეთი, შვეიცარია, გერმანია, იტალია, ქუვეითი, საფრანგეთი, ლუქსემბურგი, არაბეთის საამიროები. ხოლო სახელმწიფოები საიდანაც ყველაზე მეტი ემიგრანტი ტოვებს საშობლოს: ინდოეთი, ჩინეთი, მექსიკა, ფილიპინები, საფრანგეთი, ეგვიპტე, ნიგერია, პაკისტანი, ბაგლადეში და გერმანია.

[6] Bahri, M. T., Understanding the pattern of international Migration: Challenges in hman rights protection.
[7] იქვე.



[8]

2. ადამიანის უფლებები და მიგრაცია

ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ადამიანთა უფლებებში არის თანასწორობა, მიუხედავად განსხვავებებისა, განსხვავებული კანის ფერის, სქესის, რელიგიური მრწამსის, ეთნიკური წარმომავლობის თუ რასისა ადამიანები იყვნენ დაცულნი კანონმდებლობით და იყენებდნენ ყველა უფლებას, რომლის არსიც დაკავშირებულია სიცოცხლის თუ აზრის თავისუფლებასთან. როგორც ვიცით, ადამიანების მიერ საცხოვრებელი ადგილის, ქვეყნის დატოვებას საფუძვლად სიტყვის თავისუფლების არარსებობა შეიძლება ედოს, ცხოვრების ისეთ პირობებში როდესაც მოქალაქე ვერ გამოხატავს თავის პოლიტიკურ, რელიგიურ ნებას, შეხედულებებს და შეზღუდულია საზოგადოების ან ადამიანთა უფლებების დაცვის სისტემის ნაკლოვანებების თუ სისუსტის გამო შეიძლება მიიღოს ქვეყნის დატოვების გადაწყვეტილება, საზოგადოდ იმისთვის, რომ ადამიანმა ცხოვრება სრულფასოვნად შეიგრძნოს სჭირდება თავისუფლება, სტაბილური და დამაკმაყოფილებელი ცხოვრების დონე, უსაფრთხოება და ადგილი სოციუმში. აზიურ სახელმწიფოებში სადაც სისტემატიურად ირღვევა მკაცრი რელიგიური წესების და ტრადიციებზე აგებული კანონმდებლობის გამო ადამიანთა, ქალთა უფლებები იქმნება გაუსაზრისი ცხოვრების პირობები, რომელსაც ბოლო დროინდელი საპროტესტო აქციებიც მოწმობს ირანის სახელმწიფოში. ხშირ შემთხვევაში როდესაც ადამიანის უფლებების საკანონმდებლო ნაკლოვანებებზე ვსაუბრობთ მივდივართ იქამდეც, რომ ამ უფლებებზე ყველაზე მეტად მორგებული სამოქალაქო კონსტიტუციაა, ისლამურ სახელწმიფოებში ტრადიციებზე და რელიგიურ წესებზე დაფუძნებული კანონმდებლობა ზღუდავს ადამიანების, განსაკუთრებით კი ქალთა უფლებებს და არის მიგრაციული გადაადგილებების ხელისშემწყობი ფაქტორი. მეორეს მხრივ ადამიანთა უფლებების ნაწილში მიგრაციის შემდგომ პრობლემის გაგრძელებას ემიგრანტა უფლებების დაუცველობა წარმოადგენს. უსაფრთხოება და უფლებების დაცვის ნაწილი აუმჯობესებს ლეგალური დასაქმების მაჩვენებლებს, პოლიტიკურ და კულტურულ ევოლუციას. ოკონი (2018) ადამიანის უფლებებს ხედავს როგორც უფლებებს, რომლებიც ადამიანებს ღმერთმა უბოძა.[9] დაუშვებელია ადამიანის უფლებების იგნორირება და გამეორეხარისხოვნება

[8] OCDE, International Migration Outlook: Annual Report, International Migration, 2006, page.1-330.

[9] Okon, G. B., Media and national development. Course lecture note at Department of english and Communication Arts. Ignatius Ajuru University of Education, 2018.

თანამედროვე პირობებში როდესაც ნებისმიერი სახელმწიფოს უმთავრესი და უპირველესი საზრუნავი უნდა იყოს ინდივიდუალური და კოლექტიური უფლებების დაცვა.

საერთაშორისო მიგრაციის ორგანიზაციის 2014 წლის შემაჯამებელი რეპორტის მიხედვით მიგრაციის ძალიან მაღალი მაჩვენებელი, მოქალაქეების გადინების თვალსაზირისით ფიქსირდება ნიგერიაში 1990–2013 წლებში, 465,932 ადამიანიდან 1,030,322. 1990 წლიდან 2010 წლამდე მაჩვენებელი 56,7%–მდე გაიზარდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიმართულებები, ნიგერიელთა უდიდესი ნაწილი ამერიკის შეერთებულ შტატებს მიაშურებდა, მიზეზად იქ არსებული შრომის თუ ცხოვრების პირობები და ემიგრანტების უფლებების დაცვის ხარისხია, ამერიკაში გადასახლების, დასაქმების თუ სწავლის დაწყების მთავარ ხელშემწყობ ფაქტორს სწორედ ეს წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია საბაზისო ადამიანის უფლებები როგორიცაა:

- სიცოცხლის უფლება,
- უფლება პირად თავისუფლებაზე,
- უფლება რელიგიურ თავისუფლებაზე,
- გადაადგილების უფლება,
- საქმის სამართლიანი განხილვის უფლება,
- სიტყვის და აზრის გამოხატვის თავისუფლება.
- შეკრებისა და გაერთიანების უფლება[10],

ემიგრანტების უფლებებს შორის, რომლებიც ხშირად ირღვევა ან იგნორირდება არის:

- სიცოცხლის უფლება;
- უფლება პირად თავისუფლებაზე;
- უფლება რელიგიურ თავისუფლებაზე;
- გადაადგილების უფლება;
- საქმის სამართლიანი განხილვის უფლება;
- სიტყვის და აზრის გამოხატვის თავისუფლება;
- შეკრებისა და გაერთიანების უფლება;

ფაქტიურად ყველა ჩამოთვლილი ადამიანური უფლების პუნქტი არის განსამტკიცებელი და საჭიროებს დაცვას, სიცოცხლის უფლება შეიძლება რამდენიმე მნიშვნელოვან პუნქტად ჩაიშალოს:

- უფლება არ იქნე მოკლული;
- უფლება არ იქნე მოკლული უსამართლოდ;
- უფლება მშვიდი სიცოცხლის ქონაზე;

ადამიანის უფლებებს შორის სიცოცხლის უფლება განიხილება როგორც საბაზისო უფლება, როგორც ჭამის, ჩაცმის, სამედიცინო ზრუნვის და სხვა. მსოფლიოში არის შემთხვევები როდესაც კლავენ ან ფიზიკურ ზიანს აყენებენ ემიგრანტებს უმიზეზოდ, ზოგ შემთხვევაში დანაშაულის ფაქტები უყურადღებოდ რჩება და მათ შესაბამისი ორგანოები არ იძიებენ.

- ადამიანის უფლებების მეხუთე მუხლში საუბარია პიროვნული თავისუფლების და უსაფრთხოების უფლებაზე, არავის აქვს უფლება შელახოს ადამიანის პიროვნული თავისუფლება და საფრთხეში ჩააგდოს მისი სიცოცხლე,

[10] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, I–X მუხლები, 10.1950 წ.

- ემიგრანტების დაპატიმრების დროს სახელმწიფო ვალდებულია მისთვის გასაგებ ენაზე აცნობოს უფლებების, დაპატიმრების მიზეზების შესახებ, ასევე წაყენებული ბრალდების შესახებ,
- ემიგრანტებს დაპატიმრების შემთხვევაში ისეთივე უფლებები აქვთ როგორც ქვეყნის მოქალაქეებს მიიღონ ყველა მომსახურება სრულფასოვნად, [11]
- ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა ან ილაპარაკოს ამ ენაზე.

ადამიანის და შესაბამისად ემიგრანტების უფლებებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რელიგიური მრწამსის თავისუფლებას, უფლებას იყო ნებისმიერი რწმენის მიმდევარი, ძალიან ხშირად საზოგადოება რიყავს ისეთ ადამიანებს, რომლებიც მათგან მკვეთრად განსხვავებული რელიური მრწამის მქონენი არიან, დაბალი მიმღებლობის კულტურის მქონე საზოგადოება ხშირად არცთუ ისე დადებითად განეწყობა განსხვავებული მრწამსის ადამიანების მიმართ, განსაკუთრებით მაშინ თუ ისინი ჩამოსული, სამსახურის მაძიებლები და ემიგრანტები არიან. სახელმწიფო ვალდებულია ნებისმიერი უკანონო წინააღმდეგობა ან უფლებების ჩაგვრის მცდელობა აღკვეთოს და გამოუცხადოს ემიგრანტებს მხარდაჭერა, უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება.

ადამიანების უფლებების, ტრეფიკინგის სტატისტიკის 2017 წლის მაჩვენებლების მიხედვით 24.9 მილიონი მიგრანტი იქნა დატყვევებული მონად, 16 მილიონი (64%) გამოყენეს სამუშაოდ, 4,8 მილიონი (19%) სექსუალური მონობისთვის გაყიდეს და 4,1 მილიოი (17%) იქნა იძულებით მოყვანილი იძულებით სამუშაოდ. სამხრეთ აღმოსავლეთი აზიის ტერიტორიაზე კვლავაც აქტუალურია ტერორიზმის და ტრეფიკინგის ფაქტები, რომლის სტატისტიკაც 2011–2013 წლების პერიოდში ზრდადი მაჩვენებლით ხასიათდება.



12

მნიშვნელოვანია ასევე მოსმენის, სამართლიანად მოპყრობის ასპექტი, კერძოდ ნიგერიის პოლიცია ხშირად აპატიმრებს უკანონოდ, არალეგალურად მოქალაქეებს საფუძვლიანი მიზეზების და დანაშაულებრივი ფაქტების გარეშე, ასევე პრობლემას წარმოადგენს მათი ლინჩის წესით გასამართლება გარკვეული დანაშაულებების გამო, ქურდობის და სხვა. ასეთი ტიპის ქვეყნები სადაც მორღვეულია კონსტიტუციური, უსაფრთხოების, ადამიანური უფლებების სისტემები, კრიმინალიზებულია სამართალდამცავი ორგანოები

[11] Umor, D. P., Communication, Human Rights and Migration.
[12] Human Rights First, Human Trafficking by the numbers, Human rights first trafficking by number report 2017, accessed June 17, 2022.

რთულია საუბარი მიგრაციული ნაკადების შემცირების გზებისკენ წარიმართოს. ასეთი ტიპის სახელმწიფოებს განვითარება არ აქვთ, ისევე როგორც იქ მცხოვრებ მოსახლეობას, სწორედ ამ ფატქორების გათვალისწინებით ისინი ცდილობენ თავს უშველონ და მიაშურებენ ამერიკას და ევროპის სახელწმიფოებს თავშესაფრებისთვის. ემიგრნტების უფლებების მნიშვნელოვან ნაწილს ისევე როგორც ზოგადი ადამიანური უფლებების ნაწილს წარმოადგენს სხვადასხვა ხასიათის და მნიშვნელობის ორგანიზაციებში გაწევრიანების უფლება, ეს ორგანიზაციები შეიძლება პოლიტიკური ხასიათისაც იყოს, რაც არ უნდა უქმნიდეს პირადი პოლიტიკური შეხედულებების გამო ადამიანებს პრობლემებს სახელმწიფოსთან. ასეთი ტიპის ორგანიზაციები შეიძლება ასევე რელიგიურ ხასიათს ატარებდნენ. განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ნიგერიაში გადაადგილება, ფაქტიურად ეს პროცესი ადგილობრივებისთვის მუდმივად შიშთან ასოცირდება, რომ აღარაფერი ვთქვათ სიტყვის თავისუფლებაზე და გამოხატვის თავისუფალ ნებაზე. ყველა არსებული ფაქტორი არის პოტენციური თუ არსებული ემიგრანტების უფლებების მნიშვნელოვანი ნაწილი და მათი უზრუნველყოფა სახელმწიფოების პრეროგატივაა.

ემიგრანტების მიმართ სხვადასხვა ქვეყნის ადგილობრივი მოსახლეობისგან ხშირია ქსენოფობიური და დისკრიმინაციული დამოკიდებულებები, ქსენოფობოიური, რომელიც გულისხმობს მათ შიშებს ეროვნული ღირებულებების, ადათ წესების დაკარგვის თვალსაზრისით და დისკრიმინაციული ფაქტები, რომლებიც ემიგრანტების ჩაგვრას, გარიყვას გულისხმობს მათი განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის, კანის ფერის, სექსუალური ორიენტაციის, რელიგიური მრწამსის, კულტურული განსხვავებების და სხვა ნიშნების გამო, ხშირად ადგილობრივებს არ აქვთ ტოლერანტული დამოკიდებულებები და მიმღებლობა ემიგრანტების, ლტოლვილების მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების კანონმდებლობა თანაბრად უნდა იცავდეს ყველას განურჩევლად მოქალაქეობისა, მუდმივი მაცხოვრებლობისა, ემიგრანტობისა თუ ლტოლვილობისა მაინც პრობლემას წარმოადგენს მისი დეფიციტური ხასიათი და არაადეკვატური სერიოზულობა, კონტრასტი დამოკიდებულებებში როდესაც ირღვევა ქვეყნის მუდმივი მოქალაქის, ადგილბრივი მაცხოვრებლის და ემიგრანტის უფლებები, ამაზე საუბარია ემიგრანტების ადამიანური უფლებების კონვენციაში, რომელიც მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოსცა. [13] ,,მიგრანტებს საერთაშორისო ადამიანის უფლებების პრინციპების მიხედვით აქვთ ისეთივე უფლებები როგორც ყველა სხვა დანარჩენს მიუხედავად სტატუსისა, რომელიც მათ აქვთ ქვეყანაში, უსაფრთხოების უფლების ჩათვლით''[14]

ემიგრანტების უფლებების დაცვის სტანდარტების მიღებისა და დანერგვის პროცესის ნაკლოვანებებში განხილულია ბოლო ათი წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები სახელმწიფოების მიერ, მხოლოდ 16–მა სახელმწიფომ მიიღო 1990 წლის კონვენცია და მოახდინა რატიფიცირება, რაც არ არის საკმარისი მთლიანი მდგომარეობის გაუსაუმჯობესებლად. ამ კონვეცნიის მიღება ყველა სახელწმიფოსთვის ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით თანაბრად მნიშვნელოვანია. ფაქტიურად, პროგრესი ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს. ის, რომ კონვენციის მიღებას და რატიფიკაციას სახელმწიფოები თანხმობით არ ხვდებიან გვიჩვენებს გულგრილ დამოკიდებულებას ემიგრანტების უფლებების აღიარებისა და დაცვის მიმართ. თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის, რომ პრობლემა მხოლოდ დაინტერესების სისუსტეში კი არა არამედ კონვენციის გავრცელების ხელშემწყობ საქმიანობაში იყო, კერძოდ 1990

[13] International organization for migration- The human rights of migrants, P 22.

[14] Weissbrodt, D. S., and Collins, C., The Human Rights of Stateless Persons, Human Rights Quarterly, Vol.28 No.1, 2006, page.245-76.

წლის კონვენციის ხელშეკრულების, პირობების, მონაცემების გავრცელებაც კი არ განხორციელებულა სრულყოფილად, მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმებული და მყოფი მდივების, მოხალისეების თუ დასაქმებულების საკმაოდ მაღალი რიცხვისა, ასევე მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის სახელმძღვანელოში სადაც კონვენციის ნაკლოვანებებია განხილული საუბარია იმაზე, რომ ადამიანის უფლებების კონვენციის ხელშეკრულებაც კი ვერ მოიპოვებოდა სათანადოდ, რთულად ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ფოტო ასლები. ამასთან 2001 წლამდე არცერთი კონკრეტული პასუხისმგებელი პირი არ გამოყოფილა ვინც კონვენციის შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის მიწოდებას და გავრცელებას განახორციელებდა. შესაბამისად ევროპის დიპლომატები და მთავრობების წარმომადგენლები გამოთქვამდნენ კონფერენციებზე, საერთაშორისო შეხვედრებზე, დისკუსიებზე 1990 წლის კონვენციის მიმართ უკმაყოფილებას:

- კონვენცია იყო არარეალიზებული, არაპრაქტიკული საერთაშორისო სტანდარტების თვალსაზრისით როგორც ზედმეტად ამბიციური და დეტალური;
- კონვენცია არა რელევანტურია, რადგან სახელწმიფოებს არ გამოუთქვამთ მისი აღიარებისა და მიღების სურვილი;

ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის უამრავი ფაქტი არსებობს, 2000 წელს სამხრეთ აფრიკაში თეთრკანიანმა პოლიციელებმა შავკანიან დაუცველ მოქალაქეებზე იძალადეს, ეს ფაქტი საერთაშორისო მასმედიის მიერ იქნა შეფასებული როგორც ,,ყველაზე მძიმე რასიზმისა და ძალადობის პორნოგრაფია'', ფაქტი ცხადყოფდა სამხრეთ აფრიკაში რასიზმის პრობლემების არსებობას, ამასთან მსგავსი ფაქტები არის ქსენოფობიის არსებობის მტკიცებულებაც. ამ ფაქტში საინტერესო ნაწილი არის ასევე ის, რომ სამი მამაკაცი, რომლებზეც იძალადეს მოზამბიკიდან იყვნენ როგორც არალეგალი მიგრანტები, იმ პერიოდში პოლიცია უხეშად არღვევდა ევროპის კონვენციას, რომლის მიხედვითაც დაუსაბუთებელი, დაუმტკიცებელი დაკავებების განხორციელება დაუშვებელი იყო, თუმცა პოლიცია აპატიმრებდა არალეგალ მიგრანტებს და მათ ადეპორტებდა. სამხრეთ აფრიკის მთავრობამ 600000 მიგრანტი დაადეპორტა. SAMP-სამხრეთ აფრიკის დარგობრივი პროექტის კვლევის პირობებში დადგინდა, რომ მიგრანტები დაბალი უსაფრთხოების პირობებით არიან უზრუნველყოფილნი სხვადასხვა სამსახურეობრივ გარემოში სადაც მათ საქმის შესრულება უწევთ ფიზიკურად, ფერმებში, მშენებლობებზე და სხვა. [15]

სამხრეთ აფრიკის მატერიალური პროექტის (SAMP)-მიერ განხორციელებული კვლევის მიხედვით, რომლის დროსაც გამოკითხულ იქნა 500 რესპოდენტი, ზიმბაბვეს, ნამიბიის, მოზამბიკის და ლეზოტოს მოქალაქეები, კვლევისთვის გამოყენებულ იქნა ღია ტიპის კითხვარები, ამ მეთოდის საშუალებით გაანალიზდა ვერბალური და ფიზიკური ძალადობის ხასიათი ავტორიტეტებისა და მოქალაქეების მხრიდან. აფრიკის ადამიანის უფლებების კომისიამ დაასკვნა:

,,ცხადია არ არის საკმარისი რასიზმისგან თავის დაცვისთვის მხოლოდ შავკანიანობა მითუმეტეს თუ აფრიკის მეზობელი სახელმწიფოებიდან ხართ, იგივე დისკრიმინაციის და შეურაცხყოფის მსხვერპლი შეიძლება გახდეთ ან უარესის ''

მნიშვნელოვანია განვიხილოთ კვლევის რამდენიმე შედეგი, სადაც კარგად ჩანს რესპოდენტების დამოკიდებულებები ლტოლვილებისა თუ მოქალაქეობის არ მქონე მიგრანტების მიმართ. კითხვაზე ჰქონდეთ უნდა თუ არა ემიგრანტებს თავისუფლად გადაადგილების და აზრის გამოხატვის უფლება სამხრეთ აფრიკელი რესპოდენტები

[15] International organization for migration- The human rights of migrants, P 108.

ფიქრობენ, რომ არალეგალ ემიგრანტებს ყველაზე ნაკლებად უნდა ჰქონდეთ ეს უფლება 2.8% ხოლო მოქალაქეებს თითქმის ყოველთვის 86,4%. უნდა უზრუნველყოფდნენ თუ არა არალეგალების დაცვას და უსაფრთხოებას? რესპოდენტების აზრით არალეგალური იმიგრანტები ყველაზე ნაკლებად უნდა იქნენ დაცულნი. სოციალურ მომსახურებებზე უზრუნველყოფის ნაწილშიც და პოლიციის მიერ მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ნაწილშიც ასევე არალეგალებს ყველაზე მცირე რესპოდენტთა ნაწილი უჭერს მხარს 11,4 და 8,9%.

გამოკითხვის მეორე ნაწილშიც, რომელიც ლტოლვილებს ეხებათ ასევე ნაკლებად ჩანს კეთილგანწყობა და ტოლერანტიზმი, რესპოდენტთა ძალიან მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ მათთვის უსაფრთხოება, თუ სოციალური მომსახურება ყველაზე ნაკლებად უნდა იყოს ხელმისაწვდომი. ნეგატიურია ასევე არამოქალაქეებთან კომუნიკაციის შეფასების ნაწილიც, ფაქტიურად რესპოდენტთა 60% მათთან კომუნიკაციის არქონას არჩევს.

SOUTH AFRICAN ATTITUDES TO RIGHTS FOR CITIZENS AND MIGRANTS

	Always	Sometimes	Never
Should be granted right to freedom of speech and movement[1]			
Citizens	86.4	13.1	0.5
Temporary workers	12.8	43.3	43.7
Illegal immigrants	2.8	12.7	84.4
Should be granted right to legal protection[2]			
Citizens	90.8	8.7	0.5
Temporary workers	23.9	52.7	23.2
Illegal immigrants	8.3	29.2	62.2
Should be granted right to police protection[3]			
Citizens	92.6	6.7	0.6
Temporary workers	30.1	45.6	24.1
Illegal immigrants	11.4	27.1	60.9
Should be granted right to social services[4]			
Citizens	96.2	3.8	0
Temporary workers	29.7	45.6	24.6
Illegal immigrants	8.9	28.3	62.7

1. Literally "Depends on the circumstances".

TABLE 10

SOUTH AFRICAN ATTITUDES TO RIGHTS FOR REFUGEES

	Always	Sometimes[1]	Never
Should be granted right to freedom of speech and movement	3.3	27.3	69.3
Should be granted right to legal protection[2]	13.3	43.5	42.8
Should be granted right to police protection[3]	16.7	40.7	42.2
Should be granted right to social services[4]	16.9	40.6	42.4

PERSONAL CONTACT WITH NON-CITIZENS

	1998	1999
Great deal of contact	4	8
Some contact	15	29
Hardly any contact	20	16
No contact	60	44

Source: 1998 and 1999, SAMP (South Africa Survey).

2.1 მიგრაციის ევროპული პროგნოზები

ევროპის პოლიტიკური ლაბორატორიის მიერ შემუშავებული პროგნოზები, რომელიც ლუქსემბურგში გამოქვეყნდა 2018 წელს განხილულია მიგრაციის განვითარების სავარაუდო სცენარები, პროგნოზირებულია ის გზები, რომლებიც ხელს შეუწყობს იმიგრაციას განვითარებული სახელმწიფოებისთვის ხოლო განვითარებადი ან პრობლემური სახელწიფოებისთვის გაზრდის ემიგრირებული, ქვეყნიდან წასვლის მსურველი მოქალაქეების რაოდენობას, ევროპა ემიგრაციულიდან იმიგრაციულ რეგიონად ბოლო პერიოდში გარდაიქმნა სწორედ იმიტომ, რომ გაუმჯობესდა სამუშაო პირობები, შრომის ბაზარი, განათლების ხარისხი, სოციალურ ეკონომიკური ცხოვრების ფონი და მდგომარეობა, ანალოგიურად დაბალი და საშუალო განვითარების სახელმწიფოებისთვის გამოსავალი მიგრაციის მაჩვენებლების შემცირების თვალსაზრისით არის უკეთესი საცხოვრებელი, შრომის, სოციალური, საგანმანათლებლო პირობების შექმნის ნაწილში.

როგორც წესი თავისუფალი, უვიზო მიმოსვლები თუ ღია არხები, მეტი ხელმისაწვდომობა სატრანსპორტო მიმოსვლებზე, ფრენებზე და სხვა ახალისებს მიგრაციული ნაკადების გადინებას, ამიტომ სახელმწიფოები კარგად უნდა დაფიქრდნენ ვიდრე უფრო ღია მიგრაციის სისტემებს შეიმუშავებენ, რადგან ამ გადაწყვეტილებამ შეიძლება შრომისუნარიანი მოქალაქეების ნაკადის გადინება დაასტიმულიროს. არხების გახსნის შემდეგ ძალიან რთულია ნაკადების და მიგრაციული მაჩვენებლების რეგულირება, შეჩერება. დაუგეგმავად ამ რეფორმის გატარებამ შეიძლება არაპროდუქტიული შედეგები გამოიღოს.

დასკვნა

მიგრაციის პროცესებს საფუძველი ,,ტანზიმატ''– ის რეფორმამ ჩაუყარა, რომელმაც თურქეთის ტერიტორიაზე რელიგიური ნიშნით დევნილთა და არამხოლოდ დევნილთა შესვლა გახადა შესაძლებელი, ამასთან ამ რეფორმის ფარგლებში ყველა უმცირესობის უფლებები იყო დაცული. მასობრივი გადაადგილებები პირველი და მეორე მსოფლიო ომებთანაც არის დაკავშირებული, რაც თავიდ დროზე საომარი ვითარებებით იყო გამოწვეული, აფრიკის შემთხვევაში რეგიონებს შორის მიგრაცია სხვადასხვა მიზეზით არის გამოწვეული, მათ შორისაა სიღატაკე, ადამიანის უფლებების დაუცველობა, საფრთხის შემცველი გარემო და ძალადობა. მიგრაციის მიზეზები შეიძლება იყოს განათლების მიღების სურვილი, სიღარიბიდან გაქცევის მცდელობა, პირადი საჭიროებების დაკმაყოფილება, კონფლიქტისგან და ძალადობრივი გარემოსგან თავის არიდების მცდელობა და სხვა.

მსოფლიოს სხვადასხვა კონტინეტის მონაცემების გათვალისწინებით ყველაზე პრობლემურ ზონებს წარმოადგენს აფრიკის კონტინენტი აღმოსავლეთი და სამხრეთი ზონები, ყველა სხვა ფაქტორთან შედარებით სტატისტიკას ამძაფრებს და სწრაფი ტემპით ზრდის არასტაბილური, საფრთხის შემცველი გარემო, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მოსახლეობის მასიური გადინება და ქვეყნის შრომისუნარიანი მოქალაქეებისგან დაცარიელება. განხილული და გაანალიზებული ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ:

- ადამიანის უფლებების დაცვის პრობლემა არ დგას მხოლოდ სახელმწიფოების და ინსტიტუტების დონეზე, პრობლემა არ იქმნება მხოლოდ მათი უმოქმედობით ან გულგრილობით, პრობლემას ქმნის მოქალაქეების მიერ ადამიანის უფლებების გაუცნობიერებლობის პრობლემა, რისი დამადასტურებელი შედეგებიც სამხრეთ აფრიკის კვლევაშიც აისახა

- ადამიანის უფლებების დარღვევის ყველაზე მძიმე ფორმებს ცივილიზებულ სამყაროში ტრეფიკინგის სახით ვხვდებით, სამწუხაროდ მისი აღმოფხვრა ვერ ხერხდება, ტრეფიკინგის წინააღმდეგ საბრძოლველად სახელმწიფოს გაცილებით მკაცრი ზომების მიღება სჭირდება, ასევე მკაცრი სადამსჯელო ღონისძიებების გატარება.
- ევროპის პოლიტიკური ლაბორატორიის მიერ შემუშავებული პროგნოზების მიხედვით ღია მიგრაციის სისტემების დანერგვამ განსხვავებული შედეგები შეიძლება მოუტანოს განვითარებულ და განვითარებად სახელმწიფოებს, განვითარებულ სახელმწიფოებში რისკ ფაქტორი იმისა, რომ მოქალაქეების მასიური გადინება მოჰყვება გამარტივებულ სავიზო რეჟიმებს მცირეა, ხოლო განვითარებად სახელმწიფოებში შეიძლება გამოიწვიოს მიგრაციის უწყვეტი ნაკადების გადინება, რომლებსაც სახელმწიფო ვერ დაარეგულირებს, ვერ შეაჩერებს, შესაბამისად სახელმწიფო დადგება კრიტიკული სიტუაციის წინაზე, ყველაზე შრომისუნარიანი და ძლიერი ნაკადებისგან ქვეყნის დაცარიელების თვალსაზრისით. სახელმწიფო, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მოქალაქეებისთვის შესაბამისს საცხოვრებელ გარემოს, სოციალურ ეკონომიკურ ფონს, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემას, ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოების სისტემას წინასწარ განსაზღვრული პროგნოზების გარეშე არ უნდა გაატაროს ასეთი ტიპის პოლიტიკა.
- სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს საერთაშორისო უფლებების კონვენციის არამხოლოდ ფორმალურ გატარებას კანონმდებლობაში არამედ ამუშავებდეს მკაცრი კონტროლის სისტემას, ღებულობდეს პერიოდულ ზომებს უსაფრთხოების მექანიზმის განახლების თვალსაზრისით, იკვლევდეს ადამიანის უფლებების დარღვევის სტატისტიკას და შესაბამისად ადგენდეს იმ სუსტ მხარეეებს რომლის გაძლიერებასაც მეტი ყურადღება სჭირდება.
- გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანის უფლებების გააზრების პროცესი ადრეული ასაკიდან იწყება და მისი გაცნობიერება პირდაპირ კავშირშია განათლებასთან, საჭიროა ადამიანის უფლებების გარკვევის, შემეცნების პროცესი სკოლის საგანამანათლებო სისტემაში უფრო აქტიურად დაინერგოს.

ბიბლიოგრაფია

1. Umor, Daniel Progress, Communication, Human Rights and Migration;
2. Weissbrodt, David S and Collins, Clay, The Human Rights of Stateless Persons, Human Rights Quarterly, Vol.28 No.1, 2006;
3. International organization for migration- The human rights of migrants, 108;
4. Titan, Emillia, Ghita, Simonna, Covrig, Mihaela, Migration Phenomenon: A globalization Effect or a Cpnsequence of poverty? Procedia-Social and Behavioral Sciences, Vol.62,2012;
5. Human Rights First, Human Trafficking by the numbers, Human rights first trafficking by number report 2017, accessed June 17, 2022;
6. Kyaing Kyaing Thet, Pull and Push Factors of migration: A case study in the urban Area of Moniwa Township, Myammar, n.d;
7. Bosniak, Linda S, Human Rights, State Sovereingty and protection of undocumented migrants under the international migrant workers convention, International Migration Review Vol.25 No.4;
8. Manuel sur les droits de l'homme pour les élus locaux et régionaux. Vol.1 2019;
9. Bahri, Mohammed Thoriq, Understanding the pattern of international Migration: Challenges in hman rights protection;
10. OCDE, International Migration Outlook: Annual Report, International Migration, 2006;
11. Okon, Godwin, B, Media and national development. Course lecture note at Department of english and Communication Arts. Ignatius Ajuru University of Education, 2018;
12. Gatrell, Peter, Refugees and forced migrants during the First World War, Immigrants &amp Minorities, Vol.26 No.1-2, 2008;
13. UNHCR, Global Trends forced Displacements In 2020, Denmark, June 18.2020;
14. Weissbrodt, David S, Collins, Clay, The Human Rights of Stateless Persons, Human Rights Quarterly, Vol.28 No.1, 2006;
15. International organization for migration- The human rights of migrants, 108;
16. მუხლი I-X, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, 1950 წლის 4 ნოემბერი.